საქართველოს მთავრობის

დადგენილება №407

2023 წლის 17 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №605 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №605 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 12/01/2018, 300160070.10.003.020315) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 2 ^{12} მუხლი:

„მუხლი 2^{12}. 2026 წლის პირველ იანვრამდე გადამდები დაავადების გამომწვევი აგენტით დაინფიცირებული, დაავადებული ან/და კონტაქტში მყოფი ცხოველის ან/და ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტის ან/და ადამიანის მიერ სურსათად მოხმარებისათვის უვარგისად მიჩნეული სურსათის, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი, განკარგვა/განადგურება მოხდეს დაწვით ან/და დამარხვით, როგორც გამონაკლისი და დროებითი ზომა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**